სსდ საავტომობილო
გზების დეპარტამენტი

ალ. ყაზბეგის გამზ. N12
0160, თბილისი, საქართველო
+995 32 2 370 508
info@georoad.ge

10 აგვისტო 2023

MRDI-RD N 2-03/12709

მცხეთის მუნიციპალიტეტის მერს
ბატონ **დიმიტრი ზურაბიშვილს**

ბატონო **დიმიტრი,**

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა განიხილა თქვენი 2023 წლის 24 ივლისის №34-3423205247 წერილი, რომელიც შეეხება მცხეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში, სოფელ ნატახტარში, შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის **მცხეთა - სტეფანწმინდა - ლარსის (რუსეთის ფედერაციის საზღვარი)** საავტომობილო გზის კმ1-ის მიმდებარედ, საავტომობილო გზის ღერძიდან მარცხენა მხარეს **16** მეტრის დაშორებით მდებარე მიწის ნაკვეთის (ს/კ N72.03.26.337) ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზების საკითხს.

აღნიშნულთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი **არ არის წინააღმდეგი** მოხდეს მოცემული მიწის ნაკვეთის (ს/კ N72.03.26.337) განკარგვა.

ამასთანავე გაცნობებთ, რომ ,,საავტომობილო გზების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად საავტომობილო გზებზე, გზისპირა ზონაში (გზის ღერძიდან 100 მეტრი ორივე მხარეს) გზების მფლობელთან (მოცემულ შემთხვევაში საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი) შეუთანხმებლად აკრძალულია ნებისმიერი სამშენებლო და სხვა სახის სამუშაოთა წარმოება.

დანართი: 1 ფურცელი.

პატივისცემით,

დავით გეწაძე

დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე

კვალიფიცირებული ელექტრონული ხელმოწერა/ QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE